იჯარის ხელშეკრულება


2022 წლის 01 ივნისი

შპს „მზე

ბ. ლეჟავა

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“

ნ. მენთეშაშვილი



1. ორიათას ოცდაორი წლის 01 ივნისს შპს „მზე“-მ (ს/კ 204971744 იურიდიული მისამართი თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 9ა, რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდეგში მოხსენიებულია როგორც „მეიჯარე“ და რომელსაც წინამდებარე ხელშეკრულებაში წარმოადგენს მისი დირექტორი ბიჭიკო ლეჟავა) იჯარით გადასცა შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“-ს (ს/კ 204885810 იურიდიული მისამართი თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 9ა, რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდეგ მოხსენიებულია როგორც „მოიჯარე“ და რომელსაც წინამდებარე ხელშეკრულებაში წარმოადგენს მისი დირექტორი ნინო მენთეშაშვილი) შენობა, რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც „იჯარის საგანი“

იჯარის საგანს წარმოადგენს მეიჯარის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ ქალაქ თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზირი 25/5 მდებარე შენობა ფართით 548,22 კვ.მ, რომელიც მდებარეობს მიწის ნაკვეთზე, რომლის მახასიათებლებია: ზონა თბილისი, სექტორი ჩუღურეთი კვარტალი-05, ნაკვეთი 031/005; კოდი: 01.16.05.031/005, ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება. ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო. დაზუსტებული ფართობი - 168,00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი 31, მესაკუთრე შპს „მზე“.

იჯარის საგანი საკუთრების უფლებით ეკუთვნის შპს „მზე“-ს, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაცია #882009429016 25/12/2009 12:15:10, მომზადების თარიღი 31/12/2009 13:07:25 მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.16.05.031.005.

2. მეიჯარემ დაადასტურა, რომ იჯარის საგანზე ყადაღა არ არის რეგისტრირებული.

3. იჯარის ქირა, ქონების გადაცემა

3.1. 2022 წლის 01 ივნისიდან იწყება საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება. საიჯარო ქირა გადახდილი უნდა იქნეს ყოველთვიურად, საანგარიშსწორებო თვის ბოლო სამუშაო დღეს.

3.2. საიჯარო ქირა შეადგენს 15 000 (თხუთმეტი ათას) ლარს.

3.3. მხარეებს უფლება აქვთ დოლარის კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, ასევე ბაზარზე უძრავი ქონების ფასის გაზრდის შემთხვევაში გადახედონ და შეცვალონ საიჯარო ქირის ოდენობა. საიჯარო ქირის გაზრდა დასაშვებია მხოლოდ ყოველთვიურად გადასახდელი თანხის არანაკლებ და არაუმეტეს 10-25%-ის ფარგლებში.

3.4. მოიჯარე იღებს ვალდებულებას აწარმოოს ყველა ფინანსური ანგარიშსწორება

4.2. ხელშეკრულება იდება ერთი წლის ვადით და ძალაშია 2025 წლის 01 ივნისამდე.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მეიჯარე ვალდებულია:

ა. მოიჯარეს დროებით სარგებლობაში გადასცეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო უძრავი ქონება.

ბ. დროულად უზრუნველყოს შენობის განთავისუფლება თავისი კუთვნილი ნივთებისგან.

გ. არ ჩაერიოს მოიჯარის საქმიანობის პროცესში.

5.2. მოიჯარე ვალდებულია

ა. დროულად გადაიხადოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ქირა.

ბ. დროულად გადაიხადოს კომუნიკაციების, ელექტროენერგიისა და სხვა სახის კომუნალური გადასახადების თანხები.

გ. მოუაროს შენობა-ნაგებობას და ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ დააბრუნოს იგი იმავე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც მიიღო, ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით.

დ. ქონების მისი ბრალისთ დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში აღადგინოს მისი პირვანდელი მდგომარეობა ან აუნაზღაიროს მეიჯარეს მიყენებული ზიანი.

6. დამატებითი პირობები

6.1. მოიჯარე აღნისშნულ ფართს გამოიყენებს კომერციული საქმიანობისთვის.

6.2. მოიჯარეს უფლება აქვს იჯარის საგანზე განახორციელოს გაუმჯობესებები. იჯარის ხელშეკრულების დასრულების შემდეგ, ის გაუმჯობესებანი, რომელთა მოცილებაც შეუძლებელია იჯარის საგნის დაზიანების გარეშე, რჩება მეიჯარის საკუთრებაში, ხოლო ყველა სხვა გაუმჯობესებანი წარმოადგენს მოიჯარის საკუთრებას.

6.3. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შესახებ მხარეებმა ერთმანეთს უნდა აცნობონ ორი თვით ადრე. მაგრამ აღნიშნული ვალდებულება ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს არ

6.6. მხარეთა შორის, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერ დავას, მათ შორის დავას ხელშეკრულების ბათილობის ან გაუქმების შესახებ, განიხილავს არბიტრაჟი.

6.7. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი.

6.8. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე რომელიმე მხარე მეორე მხარეს წერილობით არ შეატყობინებს ხელშეკრულების დასრულების შესახებ, მაშინ ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელებულად ითვლება იმავე ვადით და იგივე პირობებით.

6.9. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეთა ხელმოწერებით დამოწმებული შეთანხმების საფუძველზე.

6.10. ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითო გადაეცათ მხარეებს.

მხარეთა ხელმოწერები:

შპს „მზე“

დირექტორი /ბ. ლეჟავა/

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“

დირექტორი /ნ./ მენთეშაშვილი/

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N220648779
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	01.06.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო მათუაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 38 36 32 591 70 99 74
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	29011670081222

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას ოცდაორი წლის პირველ ივნისს მე, საქართველოს ნოტარიუს ნინო მათუაშვილს, რომლის სანოტარო ბიურო, მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #10, მომმართა მოქალაქე ბიჭიკო ლეჟავამ (პ/ნ 35001004748, დაბ. 05. 10. 1949 წელს, მცხ. საქართველო, ქ. თბილისი, **ვახტანგ ბოჭორიშვილის ქუჩა, N 1, ბინა 19**) რომელმაც წარმოადგინა **იჯარის ხელშეკრულება** და მოითხოვა თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მხარის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ზემოაღნიშნულმა პირმა მომმართა. მე შევამოწმე მხარის ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი მხარის ნების გამოვლენის ნამდვილობაში.

შ.პ.ს. „მზე“
MZE Ltd

ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ.№106 ტელ: 2 518 531, 2 518 532, 2 518 555, ფაქსი 2 518 666
106 Beliashvili Str. Tbilisi 0159, Georgia, Tel: (+995) 32 2 518 531, 2 518 532, 2 518 555, FAX 2 518 666

თანხმობა ოფისის გარე ბრენდირებაზე

შპს „მზე“ ს/კ 204971744 როგორც მეიჯარე, წარმოდგენილი მისი დირექტორის ბიჭიკო ლეჟავას სახით პ/ნ 35001004748 აცხადებს თანხმობას შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემებისთვის 2017 წლის 26 დეკემბრის იჯარის ხელშეკრულებით გადაცემული ფართის (თბილისი, ალ ყაზბეგის 9 ა) გარე ფასადზე განთავსდეს შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები“-ს საქმიანობის ამსახველი აბრა მოქმედი კანონმდებლობების მოთხოვნების შესაბამისად

პატივისცემით,

შპს „მზე“-ს დირექტორი
ბიჭიკო ლეჟავა

„13 თებერვალი„ 2024 წ

ხელშეკრულება No1

შეთანხმება ავტორიზებული წარმომადგენლობის შესახებ

საქართველო

თარიღი
12.12.2019

შპს "მზე"

შპს „სკს“ (204885810) არის FedEx-ის გლობალური სერვისის მონაწილე (”GSP”) (დამოუკიდებელი ადგილობრივი კონტრაქტორი) და უფლებამოსილია მოიწვიოს მესამე მხარე FedEx-ის ავტორიზებული გადაზიდვების ცენტრის ორგანიზებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე.

გიწვევთ, მონაწილეობა მიიღოთ FedEx–ის ავტორიზებული სერვის ცენტრების პროგრამაში, რომელსაც გთავაზობთ GSP შემდეგი პირობებით:

1) მოცემულ ხელშეკრულებაში „ჩვენ“, "ჩვენი" და GSP ნიშნავს GSP- ს, მის თანამშრომლებს, აფილირებულ პირებს, წარმომადგენლებს და აგენტებს. “თქვენ“, „თქვენი“ და FASC ნიშნავს შპს “მზე“-ს (ს/კ204971744). FedEx-ის სისტემა ნიშნავს ექსპრეს გზავნილების ტრანსპორტირების გლობალურ სისტემას და გზავნილების მონიტორინგს, რომლსაც ახორციელებს FedEx მსოფლიოს მასშტაბით. ხელშეკრულების ხელმოწერიდან სამი (3) სამუშაო დღის შემდეგ, თქვენი თანხმობის შემთხვევაში, GSP უფლებამოსილებას განიჭებთ მიიღოთ ექსპრეს გზავნილები FedEx-ის საერთაშორისო სისტემით ტრანსპორტირებისთვის კლიენტებისგან, რომლებსაც გააჩნიათ FedEx-ის ანგარიშის ნომერი. ასეთი გზავნილების წარდგენა GSP-სთვის ხორციელდება FedEx-ის საერთაშორისო ავიაზედდებულის სახით.

2) თქვენ თანხხმობას აცხადებთ მომსახურება გაუწიოთ კლიენტებს, რომლებიც ფლობენ FedEx-ის ანგარიშს და კლიენტებს, რომლებსაც არ გააჩნიათ FedEx-ის ანგარიში. აღნიშნული მომსახურება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

ა) დაეხმაროს მომხმარებელს გზავნილის დოკუმენტაციის მომზადებაში; მათ შორის ავია ზედდებულის, კომერციული ინვოისისა და სხვა საჭირო საბაჟო დოკუმენტების;

ბ) უზრუნველყოთ კლიენტი შესაფუთი მასალებით, რომელიც კლიენტებს უფასოდ უნდა გადაეცეს.

გ) თქვენს ორგანიზაციაში კლიენტებისთვის უნდა იყოს გამოყოფილი სივრცე, FedEx–ის გზავნილების მოსამზადებლად.

---

4) როგორც ავტორიზებული წარმომადგენელი, თქვენ უფლებამოსილი ხართ გამოიყენოთ FedEx-ის ავტორიზებული სერვისცენტრის ფანჯრის ნიშანი (სტიკერი) შემდეგი პირობების შესაბამისად:

ა)მაქსიმალური ხილვადობისთვის, სტიკერი უნდა განთავსდეს სათანადო სიმაღლეზე, წინა ფასადის ფანჯარაზე, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ბ) თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ სტიკერით FASC პროგრამის მონაწილეობის პერიოდში. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თქვენ ვალდებული ხართ დაუბრუნოთ სტიკერი GSP – ს, სხვა სარეკლამო მასალებთან ერთად. სტიკერის ვერ დაბრუნების შემთხვევაში, თქვენ გეკისრებათ სტიკერთან დაკავშრებული ხარჯების ანაზღაურება GSP-სთვის.

5) GSP თანხმობას აცხადებს პერიოდულად მოგაწოდოთ შეფუთვის გონივრული მარაგი ("შეფუთვა"), რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ FedEx–ის ქსელით განხლორციელებული გავნილებისთვის.თქვენ თანხმობას აცხადებთ არ გაყიდოთ შესაფუთი მასალები და არ გამოიყენოთ სხვა მიზნებისათვის.

6) FedEx უზრუნველყოფს თქვენი, როგორც FedEx ავტორიზებული სერვისცენტრის მისამართი ასახვას, მომხმარებელთა მომსახურების მონაცემთა ბაზაში და თქვენი მისამართის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას მომხმარებლებისთვის. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას, თქვენს მიერ არასწორად ან არასრულად მოწოდებულ ინფორმაციაზე.

7) თქვენს მიერ ნებისმიერი დოკუმენტის შედგენისას, რომელიც უნდა წარედგინოს FedEx -ს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით, უნდა იქნეს გამოყენებული შემდეგი მისამართები:

GSP– სთვის:
შპს „სკს“
ს/კ 204885810
მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის გამზ.25
ტელეფონი: 0322910220

FASC– სთვის:
შპს „მზე“
ს/კ 204971744 ;
მისამართი: თბილისი, ყაზბეგის გამზ, 9ა
ტელეფონი:

მისამართის ცვლილებასთან დაკავშირებით შეტყობინება GSP– ს უნდა წერედგინოს 15 დღით ადრე .

მხარეებს სრულად ესმით ამ შეთანხმების შინაარსი, განურჩევლად იმისა, თუ რა ენაზეა იგი შესრულებული (ინგლისური). შეთანხმება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ძალაში შედის ხელმოწერის თარიღიდან.

ავტორიზებული სერვისცენტი:

შპს „მზე“ (204971744)
თბილისი, ყაზბეგის 9ა,
დირექტორი: ბიჭიკო ლეჟავა
თარიღი: 12/12/2019

GSP:

შპს „სკს“ (204885810)
თბილისი, აღმაშენებლის გამზ,25
დირექტორი: ნინო მენთეშაშვილი
თარიღი: 12/12/2019